№ 64

ოთხშაბათი, 24 მარტი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 64

ოთხშაბათი, 24 მარტი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ნოტარიუსის

ლევან მღებროვის

კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—6.—25)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასკევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენელიური და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი.

ებოძა პოდპორუჩიკობა—ბაქოს ქვეითა მე-153 რაზმის პოდპრაპორშჩიკს მიქაბერიძეს.

დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაში დაღესტნის ოლქის განყოფილების დისტანციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, ინჟინერი ქარქაშვილი.

## ახალი ამბავი

*** ბაქოში მცხოვრებ ქართველთა მიერ არჩეულმა საღამოს გასამართავად კომიტეტმა გამოუგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ორი ათას შვიდას ოთხმოცდა ხუთი (2785) მანეთი წერა-კითხვის საზოგადოების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ამასთანავე ითხოვა, რომ ამ ფულიდამ შვიდას ოთხმოცდა ხუთი მანეთი გაეგზავნოს ბაქოში ახლად დაარსებულ ქართულ-რუსულ წიგნთსაცავის გამგეს თ. ივანე ასლანის ძეს ვაჩნაძეს და დანარჩენი თვით წერა-კითხვის საზოგადოებამ მოიხმაროს თავისს საჭიროებისათვის.

*** კვირას, 21 მარტს, ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში გამართულ იქმნა სალიტერატურო და სამუსიკო დილა, რომელსაც, სხვათა შორის, დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავალერიის გენერალი თავადი ი. გ. ამილახვარი, გენერლები თავ. ხიმშიაშვილი, პოტტო და სხვები.

*** სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას 2 აპრილს მოახდინოს სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. სხვათა შორის ამ კრებას ლაპარაკი ექმნება კახეთში საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებაც.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელის განკარგულების თანახმად, ტფილისის გუბერნიის გამგემ უბრძანა ქალაქის მოურავს განკარგულება მოახდინოს, რომ ქალაქის ის ფული, რომელიც კერძო ბანკებში ინახება, დაუყოვნებლივ გადატანილ იქმნას სახელმწიფო ბანკში და საზოგადოდ ყურადღება მიაქციოს, რომ შემდეგში კანონის მოთხოვნილება მტკიცეთ იქმნას დაცული. ამასთან გუბერნიის გამგემ აცნობა მოურავს, რომ თუ ეს განკარგულება სისრულეში არ იქმნება მოყვანილი, ქალაქის თვით-მმართველობის თანამდებობის კაცნი პასუხის-გებაში იქნებიან მიცემულნიო.

*** გუშინ, 20 მარტს, ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ გამგეობამ ქალაქისათვის საჭირო სხვა-და-სხვა ნივთების მომზადება როგორც, მაგალითად, მილებისა და სხვა, ქარხნების ნაცვლად სახელოსნო სასწავლებელს შეუკვეთოს. შუამდგომლობაში ნათქვამია, რომ სასწავლებელი გაცილებით უფრო იაფად და პირიანად მოამზადებს, ვიდრე ქარხანაო.

*** 22 მარტს იმიერ-კასპიის მხრიდგან ტფილისში ჩამოვიდა სახელმწიფო რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი და იმავე დღეს პეტერბურგში წავიდა.

*** მხატვრებს გრენევსკის, ტრიფონოვს და ეისლერს აზრადა აქვთ გამართონ ტფილისში ამ ცოტა ხანს თავიანთის სურათების გამოფენა.

*** გაზ. „კავ.“ ის სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს გამოგზავნოს წელს რუსეთიდგან ტფილისის სააბრეშუმო სადგურში მეაბრეშუმეობის შესასწავლად სოფლის რამდენიმე მასწავლებელი.

*** „ახ. მიმ.“-ს სწერენ ანაკლიიდგან, რომ გზა ანაკლიასა და ზუგდიდს შორის ძალიან წახდა და შეკეთებას საჭიროებსო. ამ გზით გააქვთ და შეაქვთ მაზრაში ყოველგვარი საქონელი. მარტო 1 მილიონი ფუთი სიმინდი გააქვთ ყოველ წელიწადს ამ გზით. ეხლა კი ამ გზაზედ სიარული ყოვლად შეუძლებელია. ერთად-ერთი დილიჟანი დადიოდა ანაკლიასა და ზუგდიდს შუა და ისიც აღარ დადის ეხლა ცუდის გზების გამო.

*** 21 მარტს ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწემ შეამჩნია, რომ ბერაზედ, საუფლისწულო უწყების სარდაფის მახლობლად, ხალხი იყო მოგროვილი. აღმოჩნდა, რომ იმ ადგილს უკვე კარგა ხანია იმართება ხოლმე. კოკამდლემა პოლიციელნი დაიბარა და ხალხი დაამშვიდა.

*** 21 მარტს, ავლაბარში, ტფილისის მცხოვრებმა იოსებ კოსკიდიმ ამოაცალა ჯიბიდგან ტფილისის მაზრის გლეხს ნიკოლოზ მჭედლიშვილს 5 მან. 40 კაპ. ჯიბგირი შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

*** აზრადა აქვთ ამ ზაფხულს 15 ივლისიდგან 15 აპრილამდე ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ბათუმსა და ხაშურს შუა, ხაშურსა და ელდასს შუა

## ფელეტონი

### სომეხთა მეცნიერნი

და

### ქვათა ღაღადი

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს“...

რუსთაველი

I

ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალდობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელ-გატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედა-მიწის ზურგზე. ვინც გნებავთ ან ზედ-გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქედ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედა-მიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესლაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუა-გონებით ჩლუნგნი, ზნეობა-დაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირის-გამტეხნი, მხდალნი-ლაჩარნი—აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლადიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარედ წელებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი.

ამისთანა დაღით შუბლზე გაისტუმრეს ქართველის სახელი ევროპაში, საცა კი ენა და კალამი მიუწვდებოდათ. ასეთივე სახელი გაუთქვეს ქართველებს თვით რუსებ შორისაც. მართალია, ვისაც—ევროპიელს, თუ რუსს – საკუთარის თვალით მოუხჩრეკია ჩვენი ავი და კარგი, ზოგიერთა რასმე ჩვენთვის სანუგეშოსაც ამბობენ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ცოტანი არიან ამათში იმისთანანი, რომელთაც „თვისის სიტყვის საფუძველი სხვის გულის თქმაზედ არ დაედვას“, სხვის ფეხის ხმას არ აჰყოლოდეს, სხვის ჩაძახილი არ ამოეძახნოს და აქ მოსვლისავე უმალ სხვის გულის-თქმათა მახეში არ გაბმულიყოს.

სახელის გატეხას თქვენი ჭირიმე წაუღია. სიტყვით და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქედ ტიგრისა და ეფრატის სათავებამდე, თითქმის შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე ეგრედ წოდებული არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე და თუ სადმე ვიღაც „ვრაცები“ ყრილან — ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებითა. თვითონ ეს „ვრაცები“, ვითარცა ერი არაფრად სახსენებულია, იმიტომ-რომ გაწყვეტისა და გადაშენების გზაზე დგანან და თუნდ ესეც არ იყოს, ჭკუა იმათ არ გააჩნიათ, რომ თავ-ბედისა გაიგონ რამ, ალებ-მიცემობის უნარი ღმერთს იმათთვის არ უღირსებია, მეურმეობის და ჩალვადრობის მეტი სხვა ხელობა არ იციან და ის პატარა-პატარა საბოსლებიც-კი ვერ მოუხმარებიათ, რომელთაც, ქვეყნის სასაცილოდ, საქართველოს ეძახიან. ან როგორ მოიხმარებენ, რომ ამისათვის არც ჭკუა-გონება უჭრით, არც გამრჯელობა, არც სწავლა-ცოდნა, არც სურვილი აქვთ, არც ხალისი იცოდინონ და ისწავლონ რამ თუნდ იმავ სომხებისაგან, რომელნიც ვითომც ღვთისაგან და ისტორიით მოვლენილნი არიან, რომ კულტურის დროშით ხელში ააყვავონ და გააბედნიერონ არამც თუ მახლობელი აღმოსავლეთი, არამედ შორეულიცა, ერთობ მთელი ბრიყვი და უმეცარი აზია.

ამ სახით ხომ გვართმევენ ჩვენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას და, რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატიანებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით-მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა, და ყოველს ამას თვითონ იჩემებენ დიდის გაძვრენ-გამოძვრენითა. მართალია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და სხვისა ღირსების ჩამორთმევით, ან დაკლებით მათნი არც მოივლინებიან, არც გადიდდებიან, მაგრამ წადილის დაუჭირავსა ყური აქვს მოუსმენი და ენა გრძელი.

რისთვის არის ატეხილი ეს მტვერბუქი, ეს ფუქსავატი ჭექა-ქუხილი? იმისთვის, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ამიერ-კავკასიაში ერთად-ერთი სომხის ერია, რომელიც ძველისძველადაც ყოფილა, დღესაც არის და ამის გამო მომავალიც მისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე სხვისათვის, რადგანაც ისტორიულად დაამტკიცეს თვისი სულიერ-ხორციელი სიდიდე და ძალ-ღონე, თვისი შეურყევლობა და სიმაღლე ჭკუა-გონებისაო.

ვისი უნარია ყოველივე ეს? ეს რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგვყეფს და დაგვჩხავის? ჩვენ ადრევაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთა ეკუთვნის. თუმცა ასეა, მაგრამ მინამ კალამს ხელში ავიღებდით ამ წერილის დასაწერად, დიდხანს ჩავუფიქრდით ერთს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანს გარემოებას: როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა? ეს საკითხი უქმი საკითხი არ არის, როგორც ვნახავთ.

ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანის და ჭკუათა მყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად-ხსენება დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა-სწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონება-გახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა. ეს ჩვენ კარგათ ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთ გვარი გუნდია ცოდვილი. აი საფთხე სწორედ აქ არის. აი აქედამ მოველით იმ მტვერ-ბუქსა, იმ კუდიან-ქარსა, რომლის აყენებას

და აგრეთვე ბათუმ-ქობულეთ ნატანებს შუა განსაკუთრებული ვაგონი შემოდის მონადირეთათვის. ამ ვაგონში მონადირეთ შეუძლიანთ ძაღლებიც იყოლიონ. ვაგონს გარედგან აწერია: „მონადირეთათვისაო“.

⁂ გაზ. „კავ.“-ს სწერენ, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. ფურცხისში ცეცხლი წაეკიდა ადგილობრივ მცხოვრების დონდაძის ქვითკირის სახლს. გადამწვარა როგორც სახლი, აგრეთვე სხვა შენობაიც, საბძელი და ნივთები. ზარალი 3000 მანეთამდე იქმნება თურმე.

⁂ რადგანაც გუშინ, 21 მარტს, არ მოხდა საზოგადო კრება ტფილისის ვაჭრებისა სტაროსტისა და იმის ამხანაგების ამოსარჩევად, კრება 4 აპრილისათვის გადაიდვა.

⁂ 22 მარტს ტფილისის ოზოლთა სასამართლოს თავმჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ რადგანაც ამ სასამართლოს აწინდელი სადგომი ვიწროა, ქალაქმა მეტი ფული გადასდოს ახალის სადგომის დასაქირავებლად.

⁂ რადგანაც იმ კომისიას, რომელიც ქალაქის ღამის თავშესაფრებს განაგებს, საჭირო თანხა აღარა აქვს, 6 მარტიდგან მან მოსპო პურისა და ჩაის ძლევა. კომისიამ კერძო საკრედიტო დაწესებულებათ მიჰმართა და სთხოვა გადასდონ ფული ამ თავშესაფრებისათვის.

⁂ 18 მარტს თამამშევის ქარვასლასთან კავკავის მცხოვრებმა ომარ კანუკოვმა, მთვრალმა ჩხუბი აუტეხა „კახეთის“ საზოგადოების ღვინის სართაფში მოსამსახურეს ლეკაშვილს. ჩხუბის დროს ხანჯალი ამოიღო და მოუქნია, მაგრამ ლეკაშვილის მაგიერ თავისს ამხანაგს სამედბეგოვს მოარტყა. დამნაშავე დაიმალა, ხოლო დაჭრილი სამედბეგოვი საავადმყოფოში წაიყვანეს.

## ქალაქის საბჭო

22 მარტი

ამ დღეს ტფილისის ქალაქის საბჭოს უნდა აერჩია ქალაქის მოურავის მოადგილე. კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ ბარათებით მ. ს. შუსტაკოვი 16 ხმით, ბ-ნი ხოსროევი 8 ხმით და თავ. ა. მ. არღუთისკი-დოლგორუკოვი 5 ხმით. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბ-ნ შუსტაკოვს არა ჰსურს ყუთი დაიდგასო. ამ განცხადებამ დიდი კამათი გამოიწვია საბჭოში: ბევრი ხმოსანი ამტკიცებდა, რომ საქალაქო დებულების 93 მუხლის ძალით გამგეობის წევრს არ შეუძლიან ქალაქის მოურავის მოადგილის თანამდებობაზედ უარი განაცხადოსო, და ამიტომ გამგეობის ოთხივე წევრს უნდა დაედგას ყუთიო. ბ-ნი შუსტაკოვი დასთანხმდა ყუთის დადგმაზედ, მაგრამ თავ ა. მ. არღუთინსკიმ და ჩერქეზიშვილმა გადაჭრით უარი განაცხადეს და ითხოვეს, რომ რადგან ჩვენის სურვილის წინააღმდეგ გინდათ კენჭი გვიყაროთ, ოქმში აღინიშნოს ეს გარემოებაო. როგორც ქალაქის მოურავმა განაცხადა, არც თავ. ა. მ. არღუთინსკის და არც ვ. ნ. ჩერქეზიშვილს კენჭი არავისთვის არ ჩაუგდიათ. მ. ს. შუსტაკოვს ამოუვიდა 23 თეთრი კენჭი და 21 შავი, ბ-ნ ხოსროევს—20 თეთრი და 25 შავი, თავ. ა. მ. არღუთინსკის—14 თეთრი და 31 შავი და თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს—11 თეთრი და 34 შავი. ამ რიგად ქალაქის მოურავის მოადგილედ არჩეულ იქმნა ბ-ნი შუსტაკოვი. საფინანსო კომისიის წევრად ბ-ნ შუსტაკოვის ნაცვლად არჩეულ იქმნა ნ. ა. გეურქოვი.

შემდეგ საბჭომ მოისმინა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის წინადადება, რომ ქალაქის ფასიანი ქაღალდები და ნაღდი ფული ინახებოდეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, როგორც კანონი თხოულობს, და არა კერძო საკრედიტო დაწესებულებებშიო. საბჭომ, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, დიდ ძალის ხმის უმეტესობით დაადგინა: ქალაქის ფასიანი ქაღალდები და ფული შეტანილ იქმნას სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, ხოლო ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში დარჩეს 128 ათასი მანეთი ქალაქის კუპონებისა და ობლიგაციების გამოსასყიდლად 1 აპრილის ტირაჟის შემდეგ, ამასთანავე შემდეგში შუამდგომლობა აღძრას სახელმწიფო ბანკის წინაშე, რომ ობლიგაციებისა და კუპონების პატრონების დაკმაყოფილება მან იკისროს, და ხსენებული ბანკი თუ დასთანხმდება ამ წინადადებაზედ, 128 ათასი მანეთი იქ იქმნას გადატანილი საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდგანაო.

## ხმა პროვინციიდამ

—

ჩვენს მამა-პაპას ტყუილად არ უთქვამს, „თებერვალი ჰბერავსო“. თავისი ჩვეულებრივი სიავე თებერვალმა წელსაც არ დაიშალა. თითქმის მთელი თე-და-რვა დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა ჩვენს ბედნიერ ქალაქ გორში ცივი ზენა ქარის ქროლა. დაუბერავდა დასავლეთიდგან და მტკრის კორიანტელში გახვეული ცოფიანივით დარბოდა აქაურ ვიწრო და ნაგვით სავსე ქუჩებში. რაღა თქმა უნდა, ასეთი გამძვინვარებული ქარი მეტის-მეტად მავნებელიც არის და მომაბეზრებელიც. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ბატონებო, რომ ამასთანავე ისეთი საჭირო და სასარგებლო მოკეთეც არის, ურომლისოდ ჩვენი ქალაქის ცხოვრება თითქმის შეუძლებელი გახდებოდა. არა მგონია, რომ სხვაგან სადმე იყოს ისე უზრუნველად მიტოვებული სისუფთავე საცხოვრებელ ადგილებისა, როგორც ჩვენს უბადრუკ ქალაქშია!.. უბედურება უფრო ის არის, რომ დიდი უმრავლესობა აქაურის მცხოვრებლებისა არა თუ არასა ჰფიქრობს ამის წინააღმდეგ, არამედ ყოველ ღონის-ძიებასა ჰხმარობს, რომ რაც შეიძლება უფრო მეტად აივსოს ქუჩები ნაგვითა და ათასგვარის უსუფთაობით. დაგვის გორელი მანდილოსანი სახლსა და ნაგავს არხეინად გამოიტანს და გადაჰყრის ქუჩაში. დაიდგამს სარეცხს და ჭუჭყიანს წყალსაც იქვე გადმოაქცევს. მოუკვდება ქათამი, კატა, ძაღლი... ამათაც, თუ დღე არა, ღამე მაინც, უსათუოდ იმავე ქუჩაში გადმოუძახებს. აგრეთვე ხშირადა ჰნახავთ ქუჩებში დილ-დილით გადმონაქცევ სხვა-და-სხვა უწმინდურებასაც. არის აქ ისეთი ადგილებიც, რომელთა სიახლოვეს კაცი ისე ვერ გაივლის, თუ ცხვირზედ ხელი არ მოიჭირა. ყოველივე ეს სისაძაგლე გამოაქვს აქაურ მცხოვრებელს, ჰყრის იქვე თავისის სახლის წინა და ჰგონია საცოდავს, რომ უსუფთაობა და მისი ბოროტი გავლენა თავიდგან აიცდინა.

რას იტყვით, ჩემო ბატონო, რა უნდა მოუვიდეს ამ გვარს მდგომარეობაში მყოფ ქალაქს, სადმე მყუდრო ხეობაში რომ იყოს ის გაშენებული? ერთის აქაურის პატივცემულ ჯანაოზის სიტყვით, „გორი ათის წლის განმავლობაში სრულიად ამოვარდებოდა, რომ ყოველის მხრიდან ქარი არ უქრიდესო.“ ეს აზრი იქნება ცოტა გაზვიადებული იყოს, მაგრამ ქარი რომ გორისათვის უსარგებლო არ არის, ეს დღესავით ცხადია. ქარის მეოხებით გაფუჭებული, აყროლებული ჰაერი დიდხანს როდი რჩება გორში: დაუბერავს და მიარბევინებს მას ქალაქის გარეთ, ხოლო მის ნაცვლად ტყე და მინდორ-ველიდამ შემოაქვს სუფთა, საღი, ხშირად ყვავილების სურნელოვანებით შეზავებული ჰაერი... მაშ, გაუმარჯოს ჩვენებურ ქარს!.. ტყუილად-კი არ ამტკიცებდა ერთ დროს ქართლში ყველასგან ცნობილი, ხოლო აწ განსვენებული, შინაური ფილოსოფოსი ივან საამიჩ ჩერქეზიშვილი, რომ სიტყვა „ქართლი“ წარმოსდგა „ქართა ველი“—საგანაო... მისის სიტყვით, „ქართა ველმა“ შვა ქართლი, ქართლმა შვა ქართველი, ხოლო ქართველმა შვა საქართველო. საუცხოვო ძველი ქართველი კაცი იყო ივან საამიჩი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს.

—

ამ ნაირად თუმცა გორელები თითსაც არ ანძრევენ თავიანთ ქალაქის გასუფთავებისათვის, მაგრამ ამითი მაინც არავითარი ზარალი არ მოსდით: ღმერთი უგზავნის ქარს და ეს ქარი ყოველ სანიტარზედ უკეთესად ჰგვის ქუჩებსა და ბოღდნებსა, ასუფთავებს ჰაერს. მაგრამ, არა მხოლოდ ღმერთი ჰზრუნავს გორელებისათვის, არამედ სხვა-და-სხვა კეთილი ადამიანებიც არ აკლებენ მას თავისს მზრუნველობას. კაი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც უკანასკნელად წარმოდგენა იყო აქ გამართული. მცხოვრებთ მოწყინა დაეტყოთ და აი, სწორეთ ამ დროს გაჩნდნენ საიდგანღაც კეთილი ადამიანები. წარსულ ყველიერში გამართეს ქართული წარმოდგენა და იცით რა ითამაშეს?.—„სამშობლო“. რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს „სამშობლოს“, მაინც მისი ბაღალი პიესა ამ ჟამად ქართველებს არ მოგვეპოვება. რაოდენ წმინდა და მაღალ გრძნობათ აღვიძებს ქართველ კაცის გულში მისი წარმოდგენის სმენა-ცქერა!! სამშობლო ქვეყნის უბედური მდგომარეობა, მოძმე ერის ჩაგვრა-ძლეტა. ამათ სახსნელად ზრუნვა-ფიქრი, იმათთვის ბრძოლა და სიკვდილი... აი ის ძვირფასი, სათაყვანო საგნები, რომელთაც ეს პიესა გადაგვიშლის ხოლმე სცენაზედ. ამგვარ სიწმინდეს შეგნებული ადამიანი ისეთისავე მოწიწებით უნდა ეკცეოდეს, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანი ჯვარსა და სახარებას. დაუბანელის ხელით ძველი ქართველი პურს არ მიეკარებოდა ხოლმე: პური მადლიანია და შეურაცხება არ მიადგეს ამითიო. როგორ მოექცნენ „სამშობლოს“ გორში მოსული სცენის მოყვარენი?. დარწმუნებული ვარ, რომ განსვენებული დავ. ერისთავის გვამი საფლავში გადატრიალდებოდა იმ უპატიურობისა გამო, რომელიც მიაყენეს მისის აზ-

---

არ მოერიდება იგი ერთ-გვარი გუნდი, რომ კაცს თვალები დაახუჭვინოს, თვალები აუბას.

ვინ იცის რა ბუკსა და ნაღარას დაჰკრავს, რა საყვირს დააყვირებს ამ წერილების გამო იგი გუნდი, რომლის მხილება ჩვენ სახეში გვაქვს და რომელსაც ჩვეულებად დასჩემებია მათზე ნათქვამი მთელს ერს მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს. აქ განზრახვა აშკარაა. ერის სახელით ბრძოლას სამართლიანადა აქვს დიდი პატივი და საბუთი. ეს იმ გუნდს კარგად შეუგნია და ამიტომ კარგად იციან, რომ ერის სახელით წინადვე მოიბირებენ მსმენელს, წინადვე მოისყიდიან და, მაშასადამე, ნახევარი გამარჯვება უკვე ხელთა აქვთ. ხერხი სჯობია ღონესაო. რაკი ამ თვალთ-მაქცურს ხერხს ხელს მოჰკიდებენ, მერე ადვილია მთქმელსა და მხილებელს შესწამონ ერთა შორის განხეთქილების შთამოთესვა, ორის ერის ერთმანეთზე გადაკიდების უკადრისი სურვილი. აშკარაა აქ იმათი ქვედა-გრძნობული ანგარიში. ყოველ ამით ჰსურთ შვილდ-ისარი, მათზე მიზიდული, თავიანთ თავს აიცდინონ და გულში თითონ ერსა ჰკრან გასაწბილებლად და ესეთი ხერხიანი ფარი იფარონ და საკუთარის ცოდვების მხილებას ამითი პირში კაპი ამოსდონ, ენა მოსჭრან.

მთელი ერი სომხებისა აქ არაფერს შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია—ვაჭრობაა, თუ ხვნა-თესვა—და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხის მგებელი იყოს იმ ზოგიერთის ცოდვების გამო, რომელნიც არა-მკითხე მოამბესავით მეტიჩარობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა. ერმა კარგად იცის, რომ ჭეშმარიტის ღირსების ქვეყანაში მოსაფენად საჭირო არ არის ბუკი და ნაღარა. კარგად იცის, რომ მატრაკვეცობა მისის ერთგვარ გუნდისა ვერაფერი თამასუქია არც იმისათვის, რომ ღირსება მისი ქვეყანაში გაითქვას, არც იმისათვის, რომ სხვისა ავად-ხსენებით, სხვა ერის ძაგებით იქ გამოინასკვოს, საცა არ არის. ჭეშმარიტი ღირსება საქმითა თვისითა ჰლაღადებს მხოლოდ და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა. ჭეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდა. მისი ბუნება და თვისება ის არის, რომ მით უფრო სასახელოა და საგულებელი, რაც უფრო მდუმარეა. ნუ გგონიათ, ამ ბუნებას ღირსებისას კაცმა ჭკუა ვერ მიაწვდინოს, თუ გამეცნიერებული და განათლებული არ არის. ამისათვის საკმაოა სალი ჭკუა და უბრყვილო გული უბრალო გლეხ-კაცისაც. „კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა“, ან: „ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვეხარი*),—განა გლეხ-კაცის ნათქვამი არ არის?

სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ჭკვიანურ ანდაზის სიბრძნემდე ჯერ აქამომდე ვერ მიუღწევია იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომლის მეცნიერნი ქებადიდებას სომხებისას საყვირით ჰყვირიან და ამასთან, საცა გინდათ და არ გინდათ, ქართველებს მიწასთან გვასწორებენ და დედა-ბუდიანად გვთხრიან. სომხების ქება-დიდებასთან ჩვენ რა ხელი გვაქვს. ამისთანაებში, თუნდაც გადაჭარბება, სხვისათვის უწყინარი და უტკივარი გულ-უხვობაა და სხვა არაფერი. ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არა გვშურს. პირიქით, თუ სიკეთე, ღირსება რამ სჭირთ, იგი ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია და არა საშურველი. შურს ისა სწყინს და გულს უკლავს,—სხვას ჩემზე მეტი რადა აქვსო, ნატვრა-კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვას შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ღირსებამდე მივაღწიოო. შური ვერ იტანს სხვისა ღირსებას, ნატვრა კი შეჰხარის. შური ებრძვის ღირსებას, ნატვრა-კი ეტრფის.

ამიტომაც ჩვენ ქება-დიდებას სომხებისას საბუთებს არ გამოვუჩხრეკთ, თუნდაც ცარიელი ბაქიობა იყოს. თუ საქებ-სადიდებელი აქვთ რამე, ღმერთმა შეარჩინოთ, თუ არა აქვთ, ღმერთმა მისცეთ. ჩვენ მარტო იმას ვჩივით, რომ სომხის მაქებ-მადიდებელი გუნდი ჩვენ, ქართველებს, გვთხრის, სულიერად და ხორციელად გვაბათილებს და სამარისაკენ გვიშვერს ხელსა, თითქოს მარტო ჩვენი არარაობაა მათის ღირსების მომასწავებელი, მათის ღირსების მანიშნებელი.

დროა ნიღაბი ავხადოთ იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწევენ ქართველებს დიდისა და პატარის გამოუკლებლად. დროა გავითვალისწინოთ იგინი ისე, როგორნიც ნამდვილ არიან უნიღაბოდ, უფერმარილოდ. დროა ვიცოდეთ, საიდამ დაგვყეფს ჩვენ ჩვენი შავი ყორანი, საიდამ მოდის ეს ქვის-სეტყვა ჩვენს თავზე. დროა ჭკუას მოვიდეთ და არ შევუშინდეთ იმ ცრუ-პენტელა ლიბერალებს, იმ ჭეშმარიტის ლიბერალობის ბერიკებს, რომელნიც განგებ პირში ბურთსა გვჩრიან, რომ თავისი ოინბაზობა, ორპირობა და ცალ გულობა მიაფუჩეჩონ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადააფარონ. ნუ გვამხილებთო ჩვენს ცუღლუტობას, ოინბაზობას, თორემ ეროვნულ შფოთის აღდგენას დაგწამებთ, რეტროგრადობის ბანაკში თავს ამოგაყოფინებთ, რადგანაც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ეროვნულ შფოთის ატეხა, ერთა შორის ღვარძლის შთამოთესვა სიბრიყვეს და გონების სიბნელეს მოასწავებსო და ლიბერალობის შეგინებასაო. უფრთხიან ბაღლები ამ ტყუილს ჭექა-ქუხილს ტყუილ ლიბერალობისას, უფრთხიან ყოველნი, ვინც სიტყვას გაუსინჯავად იჯერებს.

ლიბერალობა განა მალვაა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარ ნამუს ახდილობისა და არა მხილება ყოველ ამისი? თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისი-ღაა ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა. მაშ ეს გამოჯარება ყოველ საქმისა, ეს მზეზე გამოტანა ყოველის ფარულის და არაფარულის ბოროტისა,—იმისდა მიუხედავად შფოთს ასტეხს, თუ არ ასტეხს,—განა უწმინდესი და უპირველესი ღირსება არ არის ჭეშმარი-

*) ფშაური ლექსებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის პირმოთვილს ამ ვაჟბატონებმა. წარმოდგენის დაწყებიდგან გათავებამდე საზოგადოებაში არ შეწყვეტილა სიცილი და ლაზღანდარობა. რამდენადაც სამწუხარო სცენას არდგენდნენ მოთამაშენი, იმდენათ უფრო მეტს ხარხარებდნენ მაყურებელნი... უნდა გენახათ, ჩემო ბატონო, როგორ მასხარულად იყვნენ ჩაცმულ-დახურული სცენის მოყვარენი! როგორ გოგო-ბიჭურად ებღლაძუნებოდნენ ერთმანერთს. უნდა გაგეგონათ, როგორ გაჰკიოდა სუფლიორი, როგორ უსულ-გულოთ ისროდნენ ჰაერში ძვირფასს სიტყვებსა და აზრებს!.. უნდა გენახათ მთელი ეს წარმოდგენა და მაშინ, დარწმუნებული ვარ, ორივ ხელებით დაუკრავდით თქვენც კვერს იმ დარბაისელ ქართველს, რომელმაც წარმოდგენის შემდეგ გულისწყრომით წარმოსთქვა: ვერც ერთი დაუძინებელი ჩვენი მტერი ვერ გახდიდა სამასხაროდ ჩვენს ეროვნულ გრძნობას ისეთის თავხედურის სითამამით, როგორც ჩაიდინეს ამ ვაჟბატონებმაო.

—

გათავდა წარმოდგენა, მოგვშორდნენ ამ წარმოდგენის გმირები.., მოგვშორდნენ, მაგრამ მათგან აყენებული ზნეობრივი მტვერი დღესაც თვალებსა გვთხრის. ქუჩაში რომ ორი ბიჭი შეხვდება ერთმანეთს, დადგებიან და „სამშობლოს“ თამაშობას გამართავენ ხოლმე.

— ისმაილ!... დაიყვირებს ერთი.

— რა გნებავთ! დიდებულო შახო! ეუბნება მეორე.

— წადი და მთელი ქართველები აქ მორეკე!,

— ყველანი დავხოცეთ, დიდებულო შახო!. ზოგს თავები დავჭერით და ზოგიც ჩამოვახრჩეთ...

— ძალიან კარგი... ბაშხადუნ!.. მაშ წადით და მათი ცოლები და გოგო-ბიჭები ყველანი აქ მომიყვანეთ!...

— რად გინდა, დიდებულო შახო მათი ცოლები და გოგო-ბიჭები?...

აქ მოსდევს უწმაწური პასუხი შახისა, რომელიც აცინებს და ახარხარებს ქუჩის სალახანა მაყურებელთ.

ახლა ვკითხოთ ერთი იმ ბატონებს, რად ჩაიდინეს ასეთი საქმე!. თუ წარმოდგენის წყეული ქაჯი ჩაუძვრა გულ მუცელში და მან ჩააგონა უსათუოდ გამართვა წარმოდგენისა, რათა სტაცეს „სამშობლოს“ თავიანთი სუსტი ხელი და რატომ თავისი ღონის შესაფერი პიესა არ აირჩიეს? ან იქნება ჰგონიათ, რომ ჩვენი საქმე იმათზედ მოყრილიყვეს, საზოგადო მოღვაწეობის მოედანი მათ დარჩენოდეთ და ამიტომ ფუნდრუკობენ ასე თამამად?. არა, ჩემო ბატონო, არა!. არც აქამდის მისულა ჩვენი უბედურება: ბედაურები ჯერ არ დახოცილან!..

პროვინციელი

# რუსეთი

იმ კომიტეტს, რომელმაც სრულიად რუსეთის ხელოსანთა გამოფენა უნდა გამართოს, აზრადა აქვს, როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, გამართოს ლატარია. თითო ბილეთს ათი კუპონი ექმნება და თითო კუპონი ეღირება 1 მანეთი. მთავარი მოგება 20,000 მანეთი იქმნება. ამ ლატარიამ 300 ათასი მანეთი მოგება უნდა მისცეს, რომელიც გადადებული იქმნება ღარიბ ხელოსანთა დამხმარებელ ფონდის სასარგებლოდ.

— წელს აზრადა ჰქონდათ მოეხდინათ სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება, მაგრამ ეხლა გადაუდვიათ, რადგანაც პარიჟში ფარმაცევტთა საერთაშორისო კრება იქმნება გამართული და ბევრი ფარმაცევტი იქ წავა.

— რადგანაც მთავრობას აზრადა აქვს გამოსცეს ახალი კანონები ქარხნების პატრონთა და მუშათა ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ, ამიტომ სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტმა გადმოთარგმნინა და დაბეჭდინა რუსულს ენაზედ უცხო სახელმწიფოთა კანონები ამავე საგნის შესახებ. მთავრობას აზრადა აქვს ახალის კანონების შედგენის დროს ამ უცხო სახელმწიფოთა კანონებით იხელმძღვანელოს.

— ფინანსთა სამინისტრომ დაადგინა ამ წლიდგან შეუდგეს ციმბირის დაწვრილებით გამოკვლევას. უნდა გამოიკვლიონ აწინდელი მდგომარეობა ამ ქვეყნის მეურნეობისა, ვაჭრობისა, მრეწველობისა; მცხოვრებლების ზნე-ხასიათი, ჩვეულებანი, სწავლა-განათლება და სხვა.

# უცხოეთი

**ჰოლანდია.** გამოჩენილი მწერალი იზრაელსი, კარგად მცოდნე საერთაშორისო საგნებისა, შეეხება რა სამშვიდობო კონფერენციას, რომელსაც გააგაში ექმნება სხდომა, ურჩევს ევროპის პატარა სახელმწიფოებს ერთმანეთს პირობით შეეკრან, რათა მედიატორულის წესით გაარჩიონ, თუ ვინიცობაა უთანხმოება რამ მოუხდათ ერთი-მეორესთან. როცა კონფერენცია შეიკრიბება გააგაში, ჰოლანდიამ, ბელგიამ, ლიუქსენბურგმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ, საბერძნეთმა, რუმინიამ, დანიამ, შვეციამ და ნორვეგიამ უნდა დაადგინონ, რომ მათ შორის ამტყდარი ყველა უთანხმობა საერთაშორისო სასამართლომ განიხილოს და თავისი განაჩენი დაადგინოსო. ეს მით უფრო ადვილი მოსახერხებელი საქმეა, რომ არც ერთ ამ სახელმწიფოს მეორესთან ადგილ მამულის შესახებ სადაო არა აქვს-რა.

—

**ბოლგარია.** ამას წინად, როგორც ჩვენც გვქონდა მოხსენებული, გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ გრეკოვი და რადოსლავოვი ბოლგარიას დაივლიან, რათა ამომრჩევლებზედ რაიმე გავლენა იქონიონ და საეროვნო კრების დეპუტატებად მათი მომხრეები აირჩიონო. ეხლა კი, როგორც ბოლგარიის გაზეთები იუწყებიან, რადოსლავოვს ცირკულიარი გაუგზავნია მაზრების უფროსებთან და უბრძანებია, რომ ამომრჩევლებზედ არამც და არამც არავითარი ძალ-მომრეობა არ იხმარონო. აი რა სწერია, სხვათა შორის, იმ ცირკულიარში:

„იქონიეთ მხედველობაში, რომ მთავრობას აზრადა აქვს თავისუფლება მიანიჭოს მცხოვრებლებს, რათა ისინი აირჩიონ, ვინც თითონ მათ სურთ, და ამიტომ პოლიცია არამც და არამც არ უნდა ჩაერიოს არჩევანებში. მისი დანიშნულება გარკვევით აღნიშნულია წესდების მე-97—100 მუხლებში. თუ რომელიმე მოხელემ დაარღვია კანონი, იმის გარდა, რომ იმას სასამართლო დასჯის, სამსახურიდგანაც დათხოვნილ იქმნებაო“.

ოფიციოზური გაზეთი „ნოვ ვეკი“ ამბობს ამ ცირკულიარის გამო, რომ ისეთი სიტყვები, როგორიც არის „სრული თავისუფლება“, მთავრობას ჯერ არ წარმოუთქვამს არჩევანების დროსო, და აგრეთვე პოლიციისათვის ასეთი სასტიკი ბრძანება არასოდეს არ მიუციათ, რომ მან შეურყევლად დაიცვას კანონიო.

—

**იაპონია.** იაპონიაში ახალი პოლიტიკური დასი შემდგარა, რომელსაც აზრად აქვს მთავრობასა და სხვა დასების შორის განხეთქილება მოსპოს. ამ დასის პროგრამას შეადგენს: ერთგულება გაუწიოს ტახტს კონსტიტუციის თანხმად, პირადი თავისუფლება დაიცვას, ადგილობრივ თვით მმართველობის საქმეს ემსახუროს, იაპონელების განკეთილებულ თვისებათა მიხედვის კვალობაზედ სწავლა-განათლების გავრცელებას ხელი შეუწყოს, ეცადოს, რათა რკინის გზები სახელმწიფოს ხელში გადავიდეს, მუშა და ღარიბ ხალხისათვის იზრუნოს, მიწად-მოქმედებას, აღებ-მიცემობას და მრეწველობას ხელი შეუწყოს, სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალში თანასწორობა დაამყაროს, სახელმწიფოს საჭიროებათა მიხედვით მხედრობის გაძლიერებას ეცადოს, მაგრამ ისე-კი, რომ ქვეყნის ფინანსიურ ძალ-ღონეს არ გადააჭარბოს ამ საქმეში, მშვიდობიანობა დაიცვას, მაგრამ ისე, რომ იაპონიის პატივი და უფლება არ შეილახოს, ყველა სარწმუნოებები დაიცვას და მათს გავრცელებას ხელი შეუწყოს, მაგრამ ამასთანავე უცხო ქვეყნების ამა თუ იმ სარწმუნოების თავისუფლად გავრცელებაც არ დააბრკოლოს და სხ. საუკეთესო იაპონურ გაზეთის „კოკუმინ შიმბუნის“ სიტყვით, არც ერთ პოლიტიკურ დასის პროგრამაში არა ყოფილა ჯერ მოხსენებული, რომ მუშა ხალხის ინტერესები დაიცვათ და გაჭირვებულებს ცხოვრება შეუმსუბუქოთო.

—

**ფილიპინები.** ესპანური გაზეთები ერთობ პესიმისტურად უყურებენ ამერიკელების საქმეს ფილიპინის არქიპელაგზედ. როგორც ისინი ამტკიცებენ, ამერიკელებისათვის მოუკლავთ ფილიპინელ მეამბოხეთ 1000 ჯარის-კაცი და სხვა მრავალი ტყვეთ წაუყვანიათ. ხსენებული გაზეთები იმ აზრის არიან, რომ ამერიკელები დამარცხდებიან ფილიპინებზედ და საზოგადოდ ეს ომი უბედურად ჩაუვლის შეერთებულ შტატებსო.

იაპონელები სულ სხვა აზრისა არიან ამ საქმის შესახებ. ისინი სიბრალულის თვალით უცქერიან ფილიპინელებს, რომლებიც თავიანთი უგუნურობის გამო ამერიკელებს გზაში ეღობებიან, მაშინ, როდესაც თითონაც არ არიან იმდენად მომზადებული, რომ თავიანთ ქვეყნის მოვლა-პატრონობა შესძლონ. „კოკუმინ შიმბუნი“ იმ აზრისა არის, რომ ამერიკამ უთუოდ უნდა დაიმორჩილოს მეამბოხენი, რათაც უნდა დაუჯდეს ეს, და შემდეგ აღარ გაუძნელდება თავისებურ წეს-წყობილების დამყარებაო.

## სასამართლოს მატიანე

### სურამის პოლიციის ბოქაულის ტერ-აკოფოვის და სტეფანე გრძელიევის საქმე

გუშინ, 23 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე სურამის სომხეთა ეკკლესიის მნა-

ტის ლიბერალობისა, რომელიც-კი მას შეუძენია დიდის ღვაწლითა და ზოგჯერ სისხლის ნთხევითაცა...

...ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისისამე წყენის შიშითა, თუ არ დო-ყლაპია ლიბერალსა. საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელის ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა. ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მჯავრ-დაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო. ბაძვით ქვეყანა წახდებაო, ნათქვამია. მჯავრ-დაუდებელი ბოროტი მაცდურების მახეა და შიგ ადვილად გაიბამს თავს გულ-ლბილი და ხასიათ დაუდგრომელი კაცი. „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდება“.

თუ აქაო და შფოთი ასტყდებაო და ლიბერალობის ღალადებით ჩვენ, ქართველებს ხმას გვაკმედინებენ და თუ მარტო ბალღების საცდენად და საფრთხობლად არ მოაქვთ აქ უადგილოდ ლიბერალობა, რატომ ამავე მიზეზით იმ გუნდს სომხებისას პირში კაპს არ ამოსდებენ, რომელთა მეცნიერნი, საცა გინდათ თუ არ გინდათ, მთელს ქართველს ერს — დიახ, მთელს ქართველს ერს! თავზე ლაფს ასხმენ ქვეყნის წინაშე და საფლავს უთხრიან, როგორც წინად ვთქვით. აბა თუ ერთმა ამ ცრუპენტელა ლიბერალთაგანმა ენა დასძრას და უთხრას: კაცნო, რას მიჰქარავთ, რას მიედმოედებით! თუ ჩვენი საკუთარი ღირსება რამ გაგვაჩნია, ჩვენი საკუთარი მიწა-წყალი,—ეგა სთქვით, თუ არა და რას ჩასციებიხართ მთელს ქართველებს, რაზედ უტეხავთ სახელს, რაც მისია, ტყუილად რად იჩემებთ? განა ქართველის ერის ძაგებით, სულიერად და ხორციელად წაწყმედით ჩვენ ჩვენის სამოთხის კარი გაგვეღება! განა არ იცით, რომ თუ სადმე სანთელ-საკმეველია, თავისს გზას არ დაჰკარგავს, ბევრიც რომ შორიდამ უბეროთ! ერთს კაცსაც ამაზე ხმა არ ამოუღია და არც ამოიღებს, იმიტომ-რომ ორ-პირნი და ცალ-გულნი არიან. ყოველ ამას გულწრფელობა, მართლ-მოყვარეობა, დიდსულოვნობა უნდა და დღევანდელ ბაზრისათვის არც ერთსა აქვს მაზანდა, არც მეორეს და არც მესამეს.

გამოდის, რომ ჩვენ-კი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, როცა ჩვენს მთელს ერს დედა-ბუდიანად სთხრიან და ისინი-კი უნდა აგვიშფოთდნენ, როცა ჩვენს მთხრელსა და მაგინებელს —ისიც გუნდს და არა მთელს ერს— ვიგერიებთ და იმის თვალთმაქცობას ვამხელთ. გამოდის, რომ ჩვენზეო, თუნდ ერთს ცალკე გუნდზე, მართალიც ძვირიც არა სთქვათო ჩვენის შფოთისა და წყენის შიშითაო და ჩვენ-კი აშფოთება, თქვენი წყენა აინუნშიაც არ მოგვდის, თუნდ მთელი ერი გამოგილანძღოთ და მთელი გუდა ტყუილებისა ზედ თავზე დაგაბერტყოთ თქვენის სახელის გატეხისათვისაო. ეს სადაური სამართალია, სადაური ლიბერალობა? ეს ფარისევლობაა, ეს მელა-ტურაობაა, ქვემძრომობაა, ეს სოროში თავის შეძვრენაა, კუდისა-კი გარედ დარჩენა და არა ლიბერალობა. პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქულიო, ნათქვამია.

დეე, ამ ცრუ-პენტელა მწყობრმა ჰიანის ლიბერალობისამ ბალღებს პირი თევზსავით ამოუმსონ, ჰა, ხმა, კრინტი არ დასძრათ ჩვენის მხილებისათვის, თორემ რეტროგრადის სახელით მოგნათლავთო, გონიერს კაცს-კი ვერ წაართმევენ პატიოსანს უნარს თავი გამოიდოს მართლის სარჩლისათვის და ტყუილის მხილებისათვის, როცა ამას ითხოვს განგებ შეგინებულ-გალანძღული გრძნობა ადამიანის და ერის ღირსებისა. აქ პატიოსანი პირდაპირ დგომაა საჭირო, პირდაპირი მხილება და არა გაქცევა და უკუ-დგომა მხდალსავით და ლაჩარსავით.

სწორედ რომ ვთქვათ, ადამიანის ღირსების საწყაო ლიბერალობა, ან რეტროგრადობა და სხვა ამისთანა კი არ არის, არამედ ეს: მართალია კაცი, თუ მტყუანი. ეხლანდელ წვრილ-ფეხობას-კი რომ უთხრათ,—შენი აზრი ლიბერალური არ არის, რეტროგრადულიაო, მაშინვე შიშით ფერი ეცვლება და, რაც გინდ მართალი იყოს, ენა მუცელში ჩაუვარდება,—ეს რა ღმერთი გამწყრომიაო. აღარავინ დაეძებს,—მართალს თავისი საკუთარი ფასი აქვს, თუ არა, და ამ მხრით აზრის ჩხრეკაში აღარავინ შედის.

კიდევ ვიტყვით, საქმე ის არის, რომ მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი, და სამდურავისა, ან წყენის, ან შფოთის ატეხის შიშით ნურავინ გაიხეთქს გულს. განა არ ვიცით, მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია თვალი დავიბრმავოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ, როცა იგი ავი ჩვენ თავში გვცემს ჩვენს არარაობას საქვეყნოდ ჩვენს სამარცხვინოდ ჰლაღადებს. რად უნდა გავუჩუმდეთ? აქაო და თქვენს ხმის ამოღებას ჩვენი წყენა მოჰყვება, წყენას ჩვენი გაშფოთებაო და ეროვნულ შფოთის ატეხა ეხლანდელ დროში საკადრისი არ არისო, ნუ თუ მართლა ამ ლათაიებს უნდა შევუშინდეთ და ენაც არ დავძრათ ჩვენის საკუთარის ვინაობის სარჩლისა და პატრონობისათვის.

თქვენი წკიპურტიც-კი გვწყინსო და ჩვენს პანღურს-კი ნუ იწყენთო. რა ნაბიჭვრები ჩვენა ვართ ამ წუთის-სოფლისა, რომ ამას გვეუბნებიან, ამით გვითათბირებენ. რას გვიქვიან აქ ლიბერალობა, ან რეტროგრადობა, როცა ჩვენს ვინაობას, ჩვენს თავ-ბედს ასე აბიაბრუებენ და ძირიანად სთხრიან! მარტო მხდალი და ლაჩარი ამისთანა ლათაიებს მიზეზად დაიხვევს ხოლმე ხელზე, როცა სხვისა ნაფურთხს ხმა-ამოუღებლივ ჰლოკავს და სხვის ლანძღვა-თრევას ხმაამოუღებლივ იტანს, რომ მერე გაქცევა, უკუდგომა და ხმა-ამოუღებლობა ლაჩრობაში არ ჩამოართვანო. ჯერ სამაგისოდ, ღვთის მადლით, არა გაგვჭირებია-რა: გული იმოდენად კიდევ შეგვრჩენია, იმოდენად კიდევ გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი სალანძღავ-სათრევად არ დავანებოთ არავის.

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

თედ ნამყოფის სტეფანე გრძელიევისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ 1897 წლის 18 ნოემბერს გაზ. „Нов. Обоз.“-ში შენიშვნა დაჰბეჭდა და გამოაქვეყნა, რომ ამ წლის 6 იანვარს წყალ-კურთხევა დღეს, სურამის პოლიციის მოხელემ უბრძანა მღვდლებს, ჩქარა გაათავეთ ღვთის-მსახურებაო. ეს შენიშვნა თავისს თავზედ მიიღო თურმე სურამის პოლიციის ბოქაულმა ტერ-აკოფოვმა და სთხოვა სასამართლოს, რომ გრძელიევი პასუხის-გებაში მიეცით სასჯელთა დებულების მე 1039 მუხ. ძალით *), რადგან ჩემ ღირსებას და პატიოსანს სახელს შეეხო და ისეთის უკანონობის ჩადენა დამწამა ბეჭვდითის სიტყვით, რომელიც მე არ ჩამიდენიაო.

სამოსამართლო პალატაში თავმჯდომარეობდა ბ-ნი ა. პ. ფრანცოვი, წევრებად იყვნენ ი. ი. ოპტოვცევი და ტ. ტ. გლუშანოვსკი, ბრალსა სდებდა სამოსამართლო პალატის ბრალმდებელის ამხანაგი ბ-ნი ადიგეზალოვი, ბრალდებულს იცავდა ა. მ. ახნაზაროვი.

სასამართლოში ბოქაულმა ტერ-აკოფოვმა განაცხადა, რომ გრძელიევი მე მტრობდა, რადგან ერთხელ ოქმი შევადგინე და სამართალში მივეციო. ამას გარდა, მასვე, ტერ-აკოფოვს, წარედგინა პალატისათვის მოწმობა სურამის სომეხთა ეკკლესიის მღვდლების ტერ-პეტროსიანისა და არუწიანისა, რომელნიც სწერენ, რომ 1897 წლის 6 იანვარს წყლის კურთხევის დროს სურამში არც ბოქაულს ტერ-აკოფოვსა და არც პოლიციის სხვა მოხელეთ ჩვენთვის არ უთქვამთ, რომ ღვთის-მსახურება შეამოკლეთ და ჩქარა გაათავეთო. ყოველ ამას გარდა, სასამართლოში წარდგენილი იყო გამოძიება სომეხ გრიგორიანთა კონსისტორიისა, რომელსაც გამოურკვია 18 იანვარს 1897 წლის „Нов. Обоз.“-ში დაბეჭდილ შენიშვნაში აღნიშნული გარემოება და დაედგინა, რომ სტეფანე გრძელიევს ცილი შეუწამებია ტერ-აკოფოვისათვის და ამიტომ მნათეობიდგან დათხოვნილ იქმნას, ხოლო რადგანაც თითონვე გასულა სამსახურის ვადის შესრულების გამო, მის მიერ აღძრული გამოძიება ამ საქმისა უშედეგოდ იქმნას დატოვებულიო.

ბრალმდებელის ამხანაგმა სთხოვა სასამართლოს დამნაშავედ ეცნოთ სტეფანე გრძელიევი და დაესაჯათ. ბრალდებულის ვექილმა ა. მ. ახნაზაროვმა სთხოვა პალატას, რომ მისი რწმუნებული უდანაშაულოდ ეცნოთ და სრულიად გაემართლებინათ, რადგან დადგენილებას სომეხთა გრიგორიანთა კონსისტორიისას სასამართლოსათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და გამოძიებიდგან-კი, რომელიც უწარმოებია კონსისტორიის ბრძანებით მღვდელ აშოთ თეიმურაზიანს, აშკარადა სჩანს, რომ ბოქაულს ტერ-აკოფოვს მართლა ჩაუდენია „Нов. Обоз.“-ის 18 იანვრის ნომერში აწერილი საქციელი. ამას ასაბუთებს ორვა მოწმე, რომელთათვისაც სასულიერო გამომძიებელს ფიცით ჩამოურთმევია ჩვენება, და ამასვე ამტკიცებს თვით სასულიერო გამომძიებლის დასკვნა, რომელშიაც იგი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საქმე სწორედ ისე უნდა მომხდარიყო, როგორც გაზეთშია აწერილი. ესეც არ იყოს, გაზეთში მოთავსებულ შენიშვნის სიმართლის მაჩვენებელია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ბოქაულმა ტერ-აკოფოვმა სასჯელთა დებულების მე-1039 მუხ. ძალით აღძრა საჩივარი და არა მე-1535 მუხ. ძალით, ამგვარად მოწმეთა ჩვენებას შეუშინდა და გაექცა ალბად იმ აზრით, რომ ეფიქრებოდა, მოწმეები ჩემს სიმტყუვნეს გამოაშკარავებენო.

სასამართლო პალატამ, მცირეოდენ ხნის თათბირის შემდეგ, დაადგინა: დამნაშავედ იქმნას ცნობილი სტეფანე გრძელიევი და გარდაეწყვიტოს ორის თვით ციხეში დაპატიმრებაო.

*) ამ წესით სამართალში მიცემულს მხოლოდ წერილობითის საბუთის ქაღალდით შეუძლიან თავის მართლება, — მოწმეებს არ მიიღებენ.

## დამაკვირდი

თუ კაცი გზათა არა გალს,
განად (საგანეს) ვერ მიიწევისა.

სულხან საბა

* * *

მამის ურჩი მეჯოგეთა გამოაგდეს,
მეცხვარეთა დაითხოვეს.

როსტომიანი

* * *

რაჲ არს საწადელ სოფელსა შინა?
— სიწმიდე, სიბრძნე, ღირსებაჲ და მეგობარი სარწმუნო, მტკიცე.

ხელნაწერი (1586 წ.)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ცნობილმა მოგზაურმა ვერ-ბარკლეიმ ამას წინად პარიჟის საგეოგრაფიო საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება თავისის მოგზაურობის შესახებ ერთს კუნძულზედ, რომელსაც სახელად „აღდგომის“ კუნძული ეწოდება. ეს კუნძული აღმოუჩენიათ 1722 წელს ჰოლანდიელებს აღდგომა დღეს და ასეთი სახელი ამისათვის დაურქმევიათ. აღდგომის კუნძული მდებარეობს დიდს ოკეანეში, სამხრეთ-ამერიკის ქალაქ ვალპარაიზოდგან 4,000 კილომეტრის სიშორეზედ. კუნძული პირველად რუქაზედ აღნიშნულ იქმნა 1786 წელს შესანიშნავის მოგზაურის ლაპერუზის მიერ. აღდგომის კუნძული იმითია შესანიშნავი, რომ იქ მრავალი ძველი ნაშთი მოიპოვება თურმე, ისეთი ნაშთი, რომელზედაც ადგილობრივ მცხოვრებთ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონიათ. მრავლად მოიპოვება იქ განსაკუთრებით უზარმაზარი ქვები, რომელზედაც გამოქანდაკებულია კაცის სახე. ზოგი ასეთი ქვა სიმაღლით 12 საჟენი იქმნება თურმე. ქვებზედ რაღაც წარწერებია, რომელიც დღემდის ვერ წაუკითხნიათ. ისეთი ქვები, რომლებზედაც კაცის სახეებია გამოქანდაკებული, კუნძულზედ 500-ზედ მეტი იქმნება თურმე. სხვა ნაშთებიც ბლომად ყოფილა აღდგომის კუნძულზედ. მეცნიერებს ეჭვი არა აქვთ, რომ ამ კუნძულზედ წინად სულ სხვა ხალხი სცხოვრობდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ გამოუკვლევიათ, რა ტომის ხალხი იყო და როგორ გაჰქრა ეს ხალხი. აწინდელი მცხოვრებნი კუნძულისა შემდეგ გადასულან იქ და დასახლებულან. იმათ არ შეეძლოთ ქანდაკებების გაკეთება, რადგანაც ველური ხალხია და ისეთი იარაღი არა აქვთ, რითაც ქვის გათლა და გამოქანდაკება შეიძლებოდეს. ბევრი მეცნიერი იმასა ჰფიქრობს, რომ ეს კუნძული წინად დიდს მატერიკს წარმოადგენდა, შემდეგ ზღვამ შთანთქა იგი და მხოლოდ ეს პატარა ნაჭერი გადარჩაო. ჰფიქრობენ, რომ ამ კუნძულის გარეშემო ზღვის ძირის გამოკვლევა ნათელს მოჰფენს ამ კუნძულის ისტორიასაო.

* * *

სულ ერთი წელიწადი თუ იქმნება, რაც კუნძული კუბა ამერიკელების ხელში გადავიდა და ამ მცირე ხნის განმავლობაში მათ უკვე მოასწრეს იმის მოწყობა: გზების გაყვანა, ტელეგრაფების, ტელეფონების გამართვა და სხვა. ამერიკელებს განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიუქცევიათ ქალაქების სანიტარულ მდგომარეობისათვის. ამ მხრივ წინად, ესპანელების ხელში, კუბის ქალაქები საზარელს სურათს წარმოადგენდა. ესპანელები სრულიად არა ზრუნავდნენ თურმე ქალაქების დასუფთავება-დაწმენდისათვის, ისინი აუარებელის გარდასახადების მოკრების გარდა არაფერზედ არა ჰფიქრობდნენ. ქალაქები უსუფთაობის ბუდეებს წარმოადგენდა თურმე. ამ ქალაქებში სხვა და სხვა ავადმყოფობა ყოველთვის საშინლად მძვინვარებდა ხოლმე. ისეთი გადამდები სენი არ არის, რომელიც კუბაში არ გაჩენილიყოს. ამერიკელები პირველადვე მხურვალედ შეუდგნენ ქალაქების დასუფთავება-დაწმენდის საქმეს. ამ ჟამად უმთავრესი ქალაქები, როგორც მაგალითად, ჰავანნა, სანტ-იაგო და სხვა, სისუფთავით ამერიკის საუკეთესო ქალაქებს არ ჩამოუვარდებიან თურმე. ამერიკელებმა სასტიკი კანონები გამოსცეს იმათ წინააღმდეგ, ვინც სანიტარულ წესებს დაარღვევს. ამ შემთხვევაში ამერიკელები ისე არ იქცევიან, როგორც სხვები: დამნაშავეს ციხეში არა სვამენ და არც ჯარიმას ახდევინებენ; ციხეში რომ ჩასვან, რას გამორჩებიან, პირიქით ხარჯი მოუვათ; ამის ნაცვლად ისინი 10, 20 ან 30 დღე ქალაქის ქუჩებს აწმენდინებენ და ამ რიგად დამნაშავესაც სჯიან და საქმესაც აკეთებენ. ყველა დიდს ქალაქში განსაკუთრებული მოხელეა, რომელიც ქალაქის სანიტარულ საქმეებს განაგებს. ამ მოხელეს ემორჩილება 126 სხვა სასანიტარო მოხელე. ეს სანიტარები კარ-და-კარ დადიან, ეზოებში, სახლებში, ოთახებში შედიან და თავიანთ მუშებს აწმენდინებენ და ასუფთავებინებენ ყველაფერს.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ჲდ)

იონა ბერის ხელაშვილის ავტოგრაფი (№ 7, in quarto, გვ. 527) შეიცავს მისს ქადაგებებს.

პირველ ფურცელზე თვით იონა სწერს:

„წიგნი ესე ქადაგება უსხუერპლე მოციქულთა სწორისა წმიდა ნინოს მონასტრის ბიბლიატიკასა. ვინ უწყის, მსახურის მამულისა შვილთა აღმომკითხველთა. წელსა 1837-სა, მარტის ე-სა. მონოზონ-ხუცესი იონა, გლახაკი, სულიერ მოძღვარი ი. დედოფლის მარიამ, დადიანის ასულისა“.

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე სხვა ხელით: „თქმული მეფის მის იოანესაგან იამბიკო ესე“:

„ივერიის ნორჩსა ვაზსა კეთილსა
ოქრო-ნილოსა, ტკბილად მომდინარესა,
ნაკვეთრსა საღმთოს, მწყურვალთ განმაგრილესა,
ანთრაკს მშუენიერს. სიბრძნის გამომკთოლველსა,
საუნჯეს საღმრთოს, სულისა მომშერვალსა“.

წიგნის ბოლოში (526—527) ჩამოთვლილია სახელები იონას 23 შრომისა, ხოლო თავში მოქცეულია მაჩვენებელი მისს ქადაგებათა, რომელთა რიცხვი 52-ია.

ამ ქადაგებათა შორის შესანიშნავია იონას მოძღვრება წმ. ნინოს გარდაცვალების დღესასწაულისა; კახტანგ ირაკლის ძის გარდაცვალების დღეს წარმოთქმული პეტერბურღს და სხ.

წიგნს მიუძღვის გრძელი წინასიტყვაობა, რომლიდამაც ამოაქვს ნაწყვეტი.

...მე ამისთვის ვყავ ქადაგება ესე, ვინაჲთგან მიზეზმან ზეგარდამომან და განსაზღურებელმან მოძრაობამან პეტრეპუხისა ქალაქსა შინა მოყუანებულ მყო სამეფოჲსა ფამილიისა *) თანა-ხლებითა. და შეთხოვნითა ჩემითა პირველმან ალექსანდრე იმპერატორმან წარმგზავნა სემინარიასა შინა წმიდის ალექსანდრე ნევსკისასა, ხოლო დასასრულ კურსისა უწმინდესმან სინოდმან ინება მღუდელ მონაზონ ყოფა წელსა 1812 თთუესა ოკდომბრისა შვიდეულსა შინა ერთსა სამგზის კურთხევა ჩემი. აჰა მიერითგან სულისა წმიდისა სახიერებითა ვიწყე სიტყუა ესეოდენნი ეკკლესიასა შინა ჩუენთა მეფეთ-ძეებისა და ეგრეთვე იმერთა დედუფლისა სახლისა საყდარსა შინა. ეგ სახეთუე უმეტეს დადიანის მეუღლის საქართუელოს მეფის ასულის ნინას ეკლესიასა შინა მათითავე თხოვილითა, და ერთბამად სამთავე ფამილიათა თანადასწრებითა. და ოდეს თანამდები უღელი ესე ტვირთული მოურქუნე სახარებისა მხილითა შემზადებულმან მაშინ დავკრძალე არღავისდა ჩუენებად ნამუშაკევი ესე მიზეზითა ამით, ვინაჲთგან ჩუენთა ენასა ზედა არა დაუტევებიესთ ქადაგებანი თვისნი წინაპართა მეურნეთა. ამისათვის არცაღა მე მსთნავდა. გარნა ღუთიურთა სამღუდელოთა აქარე მცხოვრებთა და არქიერთა და არქიმანდრიტთა და პროთაპაპთა და პრესვიტერთა და დიაკონთა და უმაღლესთა დედოფალთა და უგანათლებულესთა მეფეთ ძეთა და ასულთა და ბრწყინვალეთა თავადთა, და აზნაურთა და ერთბამად მამულისა ჩუენისა მოყუარეთა მამრობითმან და მდედრობითთა სქესთა ზედის ზედარე მაწვიეს, რათამცა უქმნა ერთად შეკრებულთა ხანდუკი. ვინ უწყის, მამულისა ჩუენისა ძეთა და ასულთა და უფროსლა სამღუდელოთა და მოსწავლეთა და ახალ მქადაგებელთა მცირედრე მსახუროს და იყოს მათი უკეთილეს.

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

*) იგულისხმება ამერეთ-იმერეთის სამეფო გვართა გადასახლება რუსეთს.

## დეპეშა

22 მარტი

**ლონდონი.** გერმანიის საელჩოსა და ცუნგ-ლი-იამენს შორის მეგობრული კავშირი არ შეწყვეტილა, იმისდა მიუხედავად, რომ შეიარაღებული გერმანიის ჯარი იტჩაუს დასაჭერად მიდის. არ იციან, მივიდა იქ ეს ჯარი, თუ არა. ჩინელები იუწყებიან, რომ ჯარისათვის წინააღმდეგობა არავის არ გაუწევიაო.

„გუშინ ლი-ხუნგ ჩანგი იმპერატრიცამ ინახულა და დიდხანს ელაპარაკა; იგი დიდის პატივისცემით იქმნა მიღებული.

**პეკინი.** იტჩოუდგან არავითარი ამბავი არ მოსულა, რადგან ამ ქალაქში ტელეგრაფი არ არის გაყვანილი. „გეფიონი“ სდგას ანგუნგაბეისთან, სადაც კარგი რეიდია. ჩინეთის მთავრობამ ჯარი გაჰგზავნა კიანტშაუს მახლობლად უცხოელების დასაცველად. გერმანიის მთავრობის საქციელი მოსწონთ აქ, რადგან ეს ერთად-ერთი ღონის-ძიება არის, — ჩინელებს ჩააგონონ უცხოელების სიცოცხლეს და ქონებას პატივის ცემით ეპყრობოდნენ. ესეც კის, რომ ამ შემთხვევას პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერენ რამდენიმედ.

**კონსტანტინეპოლი.** ცეტინიედგან დაბრუნებული პოლკოვნიკი ტევფიკი, რომელმაც გარდასცა მთავარს ხონთქრის ნაჩუქარი იახტა, დატუსაღებულ იქმნა, და მისი სახლიც გასჩხრიკეს.

**პარიჟი.** რუსეთის ელჩი თავადი ურუსოვი პეტერბურგს წავიდა სამის კვირით და საელჩოს გამგეობა ნარიშკინს ჩააბარა.

**ბერლინი.** სტატს-სეკრეტარი ბიულოვი დღეს ბერლინში დაბრუნდა და ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა ინგლისის ელჩთან.

23 მარტი

**თეოდოსია.** ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილი დეპეშები, ვითომც დრეიფუსის ფირმას მოქმედება შეეჩერებინოს, მოგონილია და არავითარი საფუძველი არ აქვს, ფირმის წარმომადგენელი ზინგერი.

**ათინა.** „ასტი“ სარწმუნოდ გაიგო, რომ სამინისტრო სამსახურიდგან გადადგაო, პალატის კამისიის გარდაწყვეტილების გამო, რომელმაც ზაიმისის არჩევა უკანონოდ სცნაო. კაბინეტი სამსახურში მანამდე დარჩება, სანამ პალატა არ გამოსთქვამს თავისს აზრს პონტიკის შემდეგ მიმდინარეობის შესახებ.

**ათინა.** შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრები უარს ჰყოფენ ხმებს კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომის შესახებ, მაგრამ, როგორცა სჩანს, ის ხმები მართალი უნდა იყვეს. კოალიციურ სამინისტროს შედგენის შესახებ ლაპარაკობენ, დელიგეორგის მეთაურობით, რადგან უმრავლესობა, თეოტოკისის მეთაურობით, განზედ არის გამდგარი, მაგრამ სიმართლე არავინ არ იცის ჯერ. კრიზისი დიდხანს გასტანს.

**ვაშინგტონი.** გენერალი ოტისი დეპეშით იუწყება მანილიდგან, რომ, როგორც ეტყობა, ფილიპინელების მთავრობა ძლიერ გაჭირვებულია. ფილიპინელები დამარცხებულ ილაჯ გაწყვეტილად განფანტულ არიან; ისინი უკან ბრუნდებიან თავიანთ სახლებშიო. ის სოფლები, რომელნიც მდებარეობს მანილასა და მალოლოსის ჩრდილოეთ ხარეს შუა, სანამდისაც ამერიკის მზვერავი რაზმი მიდიოდა, მფარველობას სთხოვენ ამერიკელებსო.

**პეტერბურგი.** დანიშნულ არიან: კავკასიის არმიის კორპუსის კამანდირი გენერალ-ლეიტენანტი ზეზემანი — კავკასიის მე-2 არმიის კორპუსის კამანდირათ; მე-39 ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი თავადი ამირეჯიბი — კავკასიის 1 არმიის კორპუსის კამანდირათ.


## განცხადებანი

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.



Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ.—10)


Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Марта 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.